www.iliauni.edu.ge

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის ანგარიში

(2013-2014 წწ.)

ცენტრის შესახებ:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრი შეიქმნა 2012 წელს. ცენტრის საქმიანობის მიზნებად განისაზღვრა:

- ქართული კონსტიტუციონალიზმის უახლესი წარსულის კვლევა;

- კონსტიტუციონალიზმის ინტერდისციპლინური შესწავლა.

ცენტრის საქმიანობა ორგანიზებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის ირგვლივ და სტუდენტებისთვის დამატებით საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარებას ემსახურება. ამ მიზნით ცენტრი:

- გამოსცემს საკუთარ პუბლიკაციებს, თარგმნის კონსტიტუციონალიზმის სფეროში ევროპულ და ამერიკულ პოპულარულ გამოცემებს;

- ატარებს სემინარებს, კონფერენციებს, ტრენინგებს და იმიტირებულ სასამართლო პროცესებს.

დირექტორის წერილი

ძვირფასო მეგობრებო,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის სახელით, დიდ მადლობას ვუხდი ყველა სტუდენტს, ვინც მონაწილეობდა ჩვენი გუნდის მიერ შექმნილ და განხორციელებულ პროექტებში. სწორედ მათი დაინტერესების შედეგია ის მრავალფეროვანი აქტივობები, რომელთაც ცენტრი 2013-2014 წლებში ახორციელებდა. ამ პროგრამებმა ჩვენს გუნდს დიდი გამოცდილება შესძინა. იმედს ვიტოვებთ, შევძელით, სტუდენტებისათვის საჭირო და სასარგებლო ცოდნა გადაგვეცა.

ასევე, გაწეული შრომისთვის მადლობას ვუხდი ჩვენი ცენტრის ყველა თანამშრომელს. სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის საქმიანობა შეუძლებელი იქნებოდა იმ უამრავი ადამიანის თანადგომის გარეშე, რომლებიც გვეხმარებოდნენ სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებაში. დიდი მადლობა მათ მეგობრული და კოლეგიალური დამოკიდებულებისათვის!

იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალშიც ვითანამშრომლებთ და შევძლებთ სასწავლო პროცესის გამდიდრებას ახალი და საინტერესო პროგრამებით.

პატივისცემით,
სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის დირექტორი **გიორგი მელაძე**

თანამშრომლები:

გიორგი მელაძე - სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის დირექტორი

გიორგი მელაძე 2013 წლიდან უძღვება ცენტრის საქმიანობას. მისი კვლევის სფეროებია: სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი და ადამიანის სამოქალაქო უფლებები.

გიორგი მელაძეს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის დიდი გამოცდილება, არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი.

კარლო გოდოლაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი, სამართლის სკოლის ლექტორი

მისი კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ქართული კონსტიტუციონალიზმი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, რესპუბლიკანიზმი, პარლამენტარიზმი, სამართლის თეორია და საჯარო სამართლის საფუძვლები.

2014 წლის აპრილში კარლო გოდოლაძე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის აპარატში მიიწვიეს. მისი სამუშაო აქტივობა ფოკუსირებულია საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის საკითხებზე მომუშავე საკონსტიტუციო ჯგუფზე. 2014 წლის დეკემბერში იგი უძღვებოდა ქართველი ჟურნალისტებისათვის ჩატარებულ სემინარს: კონსტიტუციური რეფორმა - არსებული მოდელი, გამოწვევები, მიზნები.

გიორგი მუმლაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი, სამართლის სკოლის ლექტორი

გიორგი მუმლაძე მუშაობს საჯარო სამართლის მიმართულებით და იკვლევს შემდეგ საკითხებს: მუნიციპალური სამართალი, არჩევნები, სახელმწიფო მოწყობა და მმართველობა.

იგი ჩართულია საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შესახებ საარქივო კვლევაში, ასევე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე იმიტირებულ სასამართლო პროცესებში.

ალიკა კუპრავა - ილიას სახელმწიფო უნივერ-სიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი, სამართლის სკოლის ლექტორი

ალიკა კუპრავა მუშაობს საჯარო სამართლის მიმართულებით და იკვლევს შემდეგ საკითხებს: სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა და მმართველობის ფორმები, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, გამოხატვის თავისუფლების საქმეები. იგი ჩართულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე იმიტირებულ სასამართლო პროცესებში.

გიორგი ნონიაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი, სამართლის სკოლის ლექტორი

მისი კვლევის ძირითადი მიმართულებებია: საჯარო სამართალი, უმცირესობების უფლებები, რელიგიური გაერთიანებების უფლებრივი მდგომარეობა, სოციალური პოლიტიკა, ძალადობა სკოლაში.

ბოლო სამი წლის განმავლობაში გიორგი ნონიაშვილის სამუშაო გამოცდილება უკავშირდება ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრსა“ და ააიპ „იდენტობას“.

ამჟამად მუშაობს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხებზე საქართველოში და მონაწილეობს სამართლის ენციკლოპედიის შექმნაში.

გურამ ჩაფიჩაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი

მისი კვლევების ძირითადი მიმართულებებია: საჯარო სამართლის საფუძვლები, პოლიტიკური იდეოლოგიები, ადამიანის უფლებათა სამართალი, დემოკრატია და დემოკრატიზაცია.

გურამ ჩაფიჩაძე ჩართულია კონსტიტუციური კვლევების ცენტრის პროგრამებში - „სამართლის ისტორიული დოკუმენტების გადატანა ციფრულ ფორმატში“ და „კონსტიტუციისა და დემოკრატიის“ (სამართალი სკოლაში).

ნინო ჭელიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის კოორდინატორი

ნინო კოორდინაციას უწევს ცენტრის აქტივობებს, მონაწილეობს მათ დაგეგმვასა და შემდგომ მონიტორინგში.

კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები:

კონსტიტუციური კვლევების ცენტრის საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტებია: საგანმანათლებლო რესურსების შექმნა, სამართლებრივი რეფორმების ანალიზი, ინტერდისციპლინური კვლევები კონსტიტუციონალიზმში და საქართველოს კონსტიტუციის კრიტიკული ანალიზი.

2013-2014 წლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრმა დაგეგმა და განახორციელა სალექციო პროგრამები, საჯარო ლექციები, შექმნა სასწავლო კურსები, გამოაქვეყნა კვლევები და ორგანიზება გაუწია ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა სტუდენტებისთვის დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების შექმნას, მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმების უკეთ შესწავლა-გაანალიზებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

1. პროგრამები

"კონსტიტუცია და დემოკრატია"
(06.12.2013-21.02.2014)

აღნიშნული სალექციო კურსის ფარგლებში, წინასწარ შერჩეული სტუდენტთა ჯგუფისთვის (35 სტუდენტი), ექვსი ლექცია წაიკითხეს მოწვეულმა იურისტებმა და პოლიტოლოგებმა. მომხსენებელთა შორის იყვნენ:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე
ქეთევან ერემაძე
თემა: **„კონსტიტუციური კონტროლი: კონფლიქტი დემოკრატიის პრინციპებთან"**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი დავით აფრასიძე
თემა: **„კონსტიტუცია და დემოკრატიული ტრანზიცია"**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გია ნოდია
თემა: **„კონსტიტუციის მნიშვნელობა დემოკრატიის განვითარებისთვის"**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი დავით დარჩიაშვილი
თემა: **„კონსტიტუცია და დემოკრატიული კონსოლიდაცია"**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი ლიკა სანიკიძე
თემა: **„პოლიტიკური პარტიები, დემოკრატია და კონსტიტუცია"**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გია გეწაძე
თემა: **„ხელისუფლების დანაწილება და დემოკრატია"**

პროგრამა **1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციისადმი მიძღვნილი ღონისძიებით** დასრულდა: კონსტიტუციური კვლევების ცენტრმა, საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთად, უმასპინძლა საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციისადმი მიძღვნილ განხილვას. მონაწილეებმა ისაუბრეს პირველი რესპუბლიკის პერიოდის მნიშვნელობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი პაპუაშვილმა, წაიკითხა ლექცია პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის შესახებ. ღონისძიების დასასრულს, კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მიერ ორგანიზებული სალექციო პროგრამაში - „კონსტიტუცია და დემოკრატია“ - მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ყველა ლექციის ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე: conlaw.iliauni.edu.ge

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების სერტიფიცირებული სპეცკურსი“ (07.02.2014-12.10.2014)

კონსტიტუციური კვლევების ცენტრი, თეორიული ცოდნის შეძენასთან ერთად, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების გამომუშავებას. ამისათვის ცენტრმა, საკონსტიტუციო სასამართლოს თანამშრომელთა დახმარებით, განახორციელა საკონსტიტუციო სამართალწარმოების სერტიფიცირებული სპეცკურსი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტები გაეცნენ საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურასა და მუშაობის წესს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების საკანონმდებლო რეგულირებასა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. პროგრამის ფარგლებში, კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მიერ გასაუბრების საფუძველზე შერჩეულმა 24 სტუდენტმა შეძლო კურსის წარმატებით დასრულება. კონსტიტუციური კვლევების ცენტრისა და საკონსტიტუციო სასამართლოს თანამშრომლებისგან სტუდენტებს პრაქტიკული რჩევების

მიღების შესაძლებლობა ჰქონდათ. სპეცკურსის მონაწილეებმა დაამუშავეს სასამართლო მეგობრის პოზიციები საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. მონაწილეების ერთმა ჯგუფმა საკონსტიტუციო სარჩელითაც მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს.

2014 წლის 12 ოქტომბერს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების სერტიფიცირებული სპეცკურსის“ შემაჯამებელი საღამო გაიმართა და მონაწილეებს კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ.

„სამართალი სკოლაში - კონსტიტუცია და დემოკრატია“
(15.10.2014-13.02.2015)

კონსტიტუციის შესახებ ცოდნის გავრცელება ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა. პროგრამა „სამართალი სკოლაში“ მიზნად ისახავს საჯარო სკოლებში კონსტიტუციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. პროგრამაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ათი სტუდენტი მონაწილეობდა. სტუდენტებმა, სამართლის სკოლის თანამშრომლებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, მოიძიეს და დაამუშავეს სხვადასხვა სახის სასწავლო მასალა და მოამზადეს საგაკვეთილო გეგმა ხუთი თემის ირგვლივ:

- კონსტიტუციის შესახებ;
- დემოკრატიის არსი;
- ადამიანის უფლებები;
- პოლიტიკური პარტიები;
- არჩევნები და დემოკრატია.

პროგრამა ცენტრის მიმდინარე აქტივობაა; ყოველ სემესტრში დაგეგმილია ახალი საგაკვეთილო პროგრამების მომზადება და პარტნიორი სკოლების მოძიება პროგრამის პილოტირებისთვის.
2015 წლის 13 თებერვალს გაიმართა პროგრამის შემაჯამებელი საღამო და მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

„ფედერალისტების წერილები“
(06.11.2014-დან)



ფედერალისტური წერილებით დასაბამი დაედო კონსტიტუციის უნიკალურ ხედვას, რაც კონსტიტუციის არსის, მისი დანიშნულების გააზრების საფუძველი გახდა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, კონსტიტუციური კვლევების ცენტრი ცდილობს, სტუდენტებისათვის თვალსაჩინო გახადოს ის საჯარო განხილვები, რომლებიც კონსტიტუციისა და კონსტიტუციური საკითხების აქტუალობაზე მიუთითებს.

პროგრამაში - „ფედერალისტების წერილები“ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის თხუთმეტამდე სტუდენტია ჩართული. აქტივობის ფარგლებში ყოველკვირეულად იმართება შეხვედრები.

2. საჯარო ლექციები

კონსტიტუციური კვლევების ცენტრი მონიტორინგს უწევს სამართლებრივ რეფორმებს, მათ შორის - საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას, და აქტუალურ საკითხებზე მართავს საჯარო განხილვებს, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, რეფორმის ავტორებისგან ან რეფორმის პროცესში მონაწილე პირებისგან მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ნოვაციაზე საქართველოს კანონმდებლობაში.

ცენტრმა ორგანიზება გაუწია საჯარო ლექციებს შემდეგ თემებზე:

1) ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ გატარებული რეფორმები, სასამართლოს წინაშე არსებული ესა თუ ის გამოწვევა;
2) ეთნიკური უმცირესობების დაცვა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;
3) დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
4) მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმა - საკონსტიტუციო ცვლილებების ისტორია, მისი განვითარება და თანამედროვე საკონსტიტუციო დისკურსის ანალიზი;
5) კანონპროექტი ფარული მოსმენის შესახებ;
6) წამება და წამებისგან დაცვის ინსტიტუტები საქართველოში;
7) ინფორმაციის თავისუფლების რეგულირების ახალი ხედვა;
8) გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმა.

აღნიშნულ თემებზე სასაუბროდ მოწვეული იყვნენ იურისტები, ადამიანის უფლებათა აქტივისტები, ჟურნალისტები, საჯარო პოლიტიკის სფეროში გამოცდილების მქონე პროფესიონალები: ნონა წოწორია, თამარ კინწურაშვილი, თამთა მიქელაძე, გიორგი გიორგაძე, გია გეწაძე, შოთა უტიაშვილი, გიორგი გოცირიძე, ნათია იმნაძე, ირინა ცინცაძე, ლევან ავალიშვილი, გიორგი კლდიაშვილი, ლევან ჯგერენაია, თორნიკე უსტარაშვილი, გელა ბოჩიკაშვილი.

ცენტრი მადლობას უხდის მოწვეულ სტუმრებს და კვლავაც აგრძელებს საკანონმდებლო რეფორმების მონიტორინგს და საჯარო ლექციების სერიას.

3. პუბლიკაციები და კვლევითი პროექტები

ცენტრის თანამშრომლები აქვეყნებენ კვლევებს ადგილობრივსა და საერთაშორისო გამოცემებში. 2013-2015 წლებში გამოქვეყნდა ოთხი სტატია კონსტიტუციური სამართლის და სახელმწიფოსა და ეკლესიის საკითხებზე.

გიორგი მელაძე - Lautsi v Italy (ლუცი იტალიის წინააღმდეგ) (18.10.2013)
კარლო გოდოლაძე - Constitutional Changes in Georgia: Political and Legal Aspects(15.01.2014)
გიორგი მელაძე, კარლო გოდოლაძე - Instrumentalization of the Constitution: Story of post-revolutionary constitution-making (01.05.2014)
კარლო გოდოლაძე - Republicanism's paradigm in constitutionalism(15.01.2015)

• სალექციო კურსები

კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევრებმა სამართლის სკოლისთვის ორი ახალი კურსი დაამუშავეს: „შესავალი სამართალმცოდნეობაში" და „შესავალი საჯარო სამართალში". ცენტრის თანამშრომლები მუშაობენ საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით სასწავლო პროგრამების შექმნაზე.

• არქივის კვლევის პროგრამა

მკვლევარი გიორგი მუმლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრმა 2014 წელს დაიწყო საარქივო კვლევა საქართველოს პირველ რესპუბლიკის შესახებ (1918-1921 წწ). კვლევის მიზანია დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში გამოცემული ნორმატიული აქტებისა და კონსტიტუციის შემუშავების პროცესის შესწავლა, რათა ობიექტური წარმოდგენა შეიქმნას იმ წინაპირობებზე, რომლებიც კონსტიტუციის ტექსტის მიღებას უძღვოდა. ამ თვალსაზრისით, დამუშავდა:

- საკონსტიტუციო თეზისები (ზოგადი დებულებები, მოქალაქეთა უფლებები, პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება, სასამართლო, სახელმწიფო ფინანსები, ადგილობრივი თვითმმართველობა, სახელმწიფო და ეკლესია და კონსტიტუციის გადასინჯვა);
- განმარტებითი ბარათები (სწავლა-განათლება და სკოლა);
- საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ოქმები;
- 1918-1921 წლებში გამოცემული ნორმატიული აქტები (კანონი ენის ხმარების შესახებ, კანონი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში, კანონი მოქალაქეობის შესახებ, ეროვნული საბჭოს დადგენილება ბათუმში თურქულ-ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემის შესახებ და ა.შ.);
- საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ოქმები 1921 წლის

კონსტიტუციის მე-14 თავთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს.
არქივის კვლევის პროგრამა გრძელდება და მასალა მომზადდება გამოსაქვეყნებლად.

• გამოხატვის თავისუფლება: უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა -

მკვლევარი ალიკა კუპრავა

კვლევის მიზანს წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების საქმეებზე საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი. საბოლოოდ, მიღებული პროდუქტი, რომელსაც ექნება სისტემატიზებული ხასიათი, დაეხმარება სტუდენტებს და დაინტერესებულ პირებს საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის შესწავლასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მოძიებაში.

• რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსი -

მკვლევარი გიორგი ნონიაშვილი

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში რამდენჯერმე შეიცვალა დამოკიდებულება რელიგიური გაერთიანებების უფლებრივი მდგომარეობისა და ორგანიზაციული მოწყობის მიმართ. კვლევის მიზანია, შეაფასოს რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსი და მისი ევოლუცია უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში.

4. საერთაშორისო თანამშრომლობა

"რელიგიური თემების აღიარება - სტანდარტები"

ODIHR (21.10.2013)

ODIHR და ვენეციის კომისია ერთობლივად მუშაობენ „რელიგიური თემების აღიარების" სტანდარტების დადგენაზე. დოკუმენტის მიზანია, რელიგიური თემების რეგისტრაციის საკითხის შესახებ მკაფიო კრიტერიუმების ჩამოყალიბება. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას, საერთაშორისო რეგულაციებსა და სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკას.

ODIHR-ის მიწვევით, სტანდარტების შემუშავების პროცესში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრიც მონაწილეობდა. ცენტრის თანამშრომლებმა მოამზადეს საქართველოს შესახებ პრაქტიკის მიმოხილვა და სამუშაო ჯგუფს წარუდგინეს საკუთარი მოსაზრებები დოკუმენტის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით.

5. სხვა აქტივობები

ადამიანის უფლებათა იურისტები - ქსელის პრეზენტაცია (08.10.2013)

ქსელი ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო სასამართლოსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის - კონსტიტუციური სამართლის „საზაფხულო სკოლა“ - კურსდამთავრებულთა მიერ.

ქსელის მიზანია: საერთო ლიბერალური ღირებულებების მქონე ახალგაზრდა იურისტებისთვის პროფესიული კავშირების შენარჩუნება, პროფესიული განვითარება და მათი ჩართვის ხელშეწყობა კონსტიტუციური სამართლის რეფორმის პროცესში.

მომხსენებლები: რიჩარდ ნორლანდი, გიორგი პაპუაშვილი, კოტე ვარძელაშვილი

პრეზენტაციას ასევე ესწრებოდნენ: არასამთავრობო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, მათ შორის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, JILAP-ის წარმომადგენელი - **სტივენ ოსტენმილერი.**

ვენის საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენცია
(ვენა, ავსტრია, 6-10.04.2014)

მომხსენებელი - კარლო გოდოლაძე

2014 წლის 6-10 აპრილს ავსტრიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქში, ვენაში, გაიმართა საერთაშორისო ინტერდისციპლინური აკადემიური კონფერენცია, რომელზეც მოხსენებით წარდგა სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი, კარლო გოდოლაძე.

გამოსვლა ეხებოდა თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში არსებულ ისეთ მნიშვნელოვან პარადიგმას, როგორიც რესპუბლიკანიზმია. მომხსენებელმა განიხილა კონცეპტის ანტიკური მნიშვნელობა, შუასაუკუნეობრივი განვითარება და თანამედროვე ტენდენციები. პრეზენტაციის შემდგომ უცხოელ მკვლევარებთან და პროფესორებთან გაიმართა სამეცნიერო დისკუსია.

კონსტიტუციური სამართლის რიგით IX მსოფლიო კონგრესი
(ოსლო, ნორვეგია, 16- 20.06.2014))



მომხსენებლები - გიორგი მელაძე, კარლო გოდოლაძე

მიმდინარე წლის 16-20 ივნისს ნორვეგიის დედაქალაქში, ოსლოში, გაიმართა კონსტიტუციური სამართლის რიგით IX მსოფლიო კონგრესი.
კონგრესს, რომელიც კონსტიტუციური სამართლის საერთაშორისო ასოციაციის მიერ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ იმართება, მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის 600-მდე დელეგატი ესწრებოდა.
კონსტიტუციური სამართლის ფორუმზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმოადგენდნენ სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების

ცენტრის დირექტორი გიორგი მელაძე და კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი კარლო გოდოლაძე.
მათ კონგრესის სამუშაო სესიაზე წარმოადგინეს პრეზენტაცია - „პოსტრევოლუციური საკონსტიტუციო რეფორმები საქართველოში“. აღნიშნული კვლევა მოგვიანებით მსოფლიო კონსტიტუციური კონგრესის მასალებში გამოქვეყნდა.

იმიტირებული სასამართლო პროცესები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ბაზაზე არსებული სტუდენტური კლუბის - სტუდენტური სასამართლოს ორგანიზებით, 2014 წლის 24 დეკემბერს გაიმართა იმიტირებული დავა კერძო სამართლის მიმართულებით, რომელშიც მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები. აღნიშნული პროცესის მომზადებაში სტუდენტურ კლუბს აქტიურად ეხმარებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრი, კერძოდ კი, მისი მკვლევარი გიორგი მუმლაძე. ის მონაწილეობდა მზადების პროცესშიც და იმიტირებული დავისას იყო მოსამართლეც. დავის დასრულებისას, გიორგი მუმლაძემ პროცესის მონაწილეებს სტუდენტური კლუბის სერტიფიკატები გადასცა.

სამართლის ისტორიული დოკუმენტების გადატანა ციფრულ ფორმატში

კონსტიტუციური კვლევების ცენტრის დახმარებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პირველი კურსის სტუდენტები მუშაობენ ქართული სამართლის ისტორიის ცნობილი მკვლევრისა და მეცნიერის, ისიდორე დოლიძის, შრომების - „ქართული სამართლის ძეგლები” - ციფრულ ფორმატში გადატანაზე. აღნიშნული მასალა მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ქართული სამართლის ძეგლებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ.

www.iliauni.edu.ge

საკონტაქტო ინფორმაცია:

დაწვრილებით ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის შესახებ
იხილეთ ჩვენს ვებგვერდზე: http://conlaw.iliauni.edu.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ
ცენტრის კოორდინატორს
ნინო ჭელიძეს: nino.chelidze.1@iliauni.edu.ge